# სახალხო გაზეთი

№ 712 სამშაბათი, 2 ოქტომბერი 1912 წ. № 712

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა ,,შრომა''-ში, მუხრანის ქუჩა, და ღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში--მორსკაია 11, ვარშავაში--მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში--ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება ,,სახალხო გაზეთი''-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე [illegible] გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; [illegible] თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. [illegible] პარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული ,,სახალხო გაზეთი'' 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
,, ,, თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



## კანტორისაგან

1912 წ. პრემია „გრდემლის“ მისაღებად უკანასკნელი ვადა არის მომავალ წლის 1 იანვარი, ამიტომ ვთხოვთ ყველას, ვისაც პრემია ერგება, ამ ვადამდე უსათუოდ მოიკითხონ, რადგანაც 1 იანვრის შემდეგ პრემია აღარ შეენახებათ და ყოველნაირი მიწერ-მოწერაც მიმდინარე წლის პრემიის შესახებ **უყურადღებოდ იქნება დატოვებული.**

**სახალხო გაზეთი** სურათებიანი დამატებით მიიღება ხელის მოწერა 1912 წლისათვის.

(არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე, უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე).

წელიწადში ღირს 8 მან. 50 კაპ.
1 ღვინობისთვიდგან წლის დამლევამდე ღირს 2 მ. და 25 კ.
თვეში ღირს — — 75 კაპ.
(როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარედ).
საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.

წლ. ხელის მომწერთ (რომელთაც პრემია „გრდემლი“ ერგებათ) 8 მან. 50 კ. უნდა ჰქონდეთ გადახდილი შემდეგ ვადებზე: პირველად 3 მ., 1 მარტისათვის 5 მან., 1 მაისისათვის 7 მ. და 1 მ. 50 კ. 1 ივლისამდე.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თ ვ ი ს 1 რ ი ც ხ ვ ი დ ა ნ, მხოლოდ სრული თვეებით და მხოლოდ მიმდინარე წლის ბოლომდე.

გაზეთს, ფულის მიღების უფლებით, არსად არავითარი აგენტი არა ჰყავს (გარდა წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის ტფილისის წიგნის მაღაზიისა) და ამიტომ პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ფული ან ფოსტით არის გამოგზავნილი, ან პირდაპირ კანტორაშია მიღებული.

რედაქცია დაუბეჭდავ ნაწერების შესახებ ავტორებთან მიწერ-მოწერას არ ჰმართავს, თუნდ საპასუხო მარკაც იყოს გამოგზავნილი და დაუბეჭდავ წერილებსაც არ ინახავს. დანარჩენ შემთხვევაში ყოველ შეკითხვის ან რაიმე ცნობის შესახებ საპასუხოდ საჭიროა **ფოსტის მარკა.**

დანარჩენი პირობები იხ. გაზეთის სათაურში.

**ძმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი.**

**ხუთშაბათს, 4 ოქტომბერს.** მხცოვან **ა კ ა კ ი ს** მონაწილეობით გაიმართება

## სალიტერატურო-სამუსიკო საღამო

ს ა მ ს გ ა ნ ყ ო ფ ი ლ ე ბ ა დ:

I

**აკაკი, ს. მგალობლიშვილი** და ახალგაზრდა მწერლები: ბ.ბ. ახოსპირელი, ქუჩიშვილი, გრიშაშვილი, ევდოშვილი, ირეთელი და სხვ. წაიკითხავენ თავის ნაწარმოებთ; მსახიობი **ო. ლეჟავა** და 10 წლ. მარო ირემაშვილი წაიკითხავენ ლექსებს; ბ.ბ. გოცირიძე და ბაქრაძე იმღერებენ კუპლეტებს.

II

სტ. ი. ირემაშვილი და მისი სამი შვილი ქართულ ტანისამოსებში აკაკის თანადასწრებით იმღერებენ: 1) იავნანა, 2) კავკასიის მაღალ ქედზე, 3) ჩონგურს სიმები და სხვა. სიმღერების დროს იქნება ფერადი შუქით განათებული შესაფერი სურათები.

III

ტფილისის ქართული საამხანაგო მომღერალ-მგალობელთა გუნდი მ. კავსაძის ლოტბარობით გლეხურ ტანისამოსებში გამოწყობილი შეასრულებს პატარა სცენებს სოფლის ცხოვრებიდან ხალხური სიმღერებით.

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე.** ბილეთების ფასი 20 კ.—1 მ.
გამგე ს. მგალობლიშვილი. რეჟისორი ა. წუწუნავა. 709.

## მომღერალ ქალ-ვაჟთა

რომელთაც სურთ მონაწილეობა მიიღონ

## ც. გ. ფოცხვერაშვილის ხოროში

სთხოვენ წინდაწინვე ჩაეწერნენ ახალი კლუბის კანტორაში. 1535.

**ს ა ს ტ უ მ რ ო „უნივერსალი“**

(ძველად ,,მუხრანის ნომრე'ი'') **ტფილისში, გოლოვინის პროს.** სახელმწიფოს და კერძო დაწესებულებათა შუაგულში; ნომრები ახლადაა გადაკეთებული მშვენივრად; დიდად სახერხოა ცოლშვილიანებისათვის. ფაქიზი სისუფთავე, ზრდილობიანი და სხარტი მოსამსახურენი. როგორც კაცები ისე ქალები; ელექტრონული განათება, ცხელი და ცივი ვანები. გვაქვს ორ-ორი და სამ-სამი ოთახი, ფანჯრები და აივნებიც ქუჩის მხარეს აქვთ. ნომერი 80 კ.—5 მანეთამდე ღირს დღე-ღამეში, თვიურად 15 მან. 80 მანეთამდე. თვიურ მდგმურებს დიდ შეღავათს ვაძლევთ ქირაში. ტელეფ. № 499. 1484

შ ე ი ძ ლ ე ბ ა დ ა კ ვ ე თ ა:

## ილია ჭავჭავაძის თხზულებანი

**ექიმ მიხეილ გედევანიშვილის საგანგებო გამოცემა**

წიგნი დაიბეჭდება ძვირფას ქაღალდზე; ილიუსტრაციებით; ძვირფასი ყდით; შეიცავს დაახლოვებით 600 გვერდს; მოთავსებული იქნება ყველა

**ლ ე ქ ს ი და ბ ე ლ ე ტ რ ი ს ტ უ ლ ი ნ ა წ ა რ მ ო ე ბ ი,**

(აგრეთვე ჯერ დაუბეჭდავიც); ჩაერთობა მგოსნის ვრცელი ბიოგრაფია და მისი ნაწარმოებების კრიტიკული განხილვა. ფორმატი in quarto.

**ფ ა ს ი 8 მ ა ნ ე თ ი,** რომლის გადახდა შეიძლება სამ ნაწილად; 3 მან. ხელის მოწერისთანავე, 3 მ. ენკენისთვეში და 2 მ. გიორგობისთვეში. ვინც 100 ცალზე ნაკლებს არ გამოიწერს, 10% დაითმობა. გასასყიდად წიგნი არ გამოვა. დამკვეთელთ წიგნები დაურიგდებათ 1913 წელში.

წიგნის დაკვეთა შეიძლება: ტფილისში, ყორღანოვის ქუჩა, № 20, **ექიმ მიხეილ გედევანიშვილთან; და წერა-კითხვის საზ. წიგნის მაღაზიაში.**

**ტფილისში აგენტად დანიშნულია ნიკოლოზ ლონგინოზის ძე კავსაძე.**
**ქუთაისში—წ. კ. ს. მდივან იასონ ბაქრაძესთან და იოსებ ოცხელთან.**
**ფოთში—იონა მეუნარგიასთან.** ✦ **თელავში—თამარ აბაშიძესთან.**
**სამტრედიაში—ბ. ი. სტურუასთან.** ✦ **ხონში—ეფროსინე ჭიჭინაძესთან.**
**სიღნაღში—ექ. ჯანდიერთან.** ✦ **ბაქოში—ილია აგლაძესთან.**
**სოხუმში—ნიკო თავდგირიძესთან.** ✦ **ოზურგეთში—ექ. დიმ. ერისთავთან.**
**ჭიათურაში—წ. კ. გ. ს. ირ. დეკანოზიშვილთან.** ✦ **ერევანში--ელენე ვირსალაძესთან**
**ბათომში—ს. მდივანთან. კავკავში—სოფიო კალანდარაშვილთან.**
**გორში—ნიკო ლომაურთან. ახალციხეში—როზალია ალელიშვილთან**

**ვინც წიგნის დასაკვეთად ფულს ფოსტით თვით გამომცემლის სახელზე გზანის, მათთვის გასამართლებელ საბუთად საკმარისია თვით ფოსტის კვიტანცია.** 153

## ქუთაისის ამომრჩეველთა საყურადღებოდ

4 ოქტომბერს დანიშნულია ამომრჩეველთა არჩევანი

## აირჩიეთ

გრიგოლ ივანეს ძე გველესიანი (იურისტი)
ივანე (კიტა) გიორგის ძე აბაშიძე.
დავით ბესარიონის ძე ხელთუფლიშვილი (ნაფიცი ვექილი). 1528

## საგურამოში

**მშვენიერ ალაგას,** ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის პირდაპირ ბლომად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 4, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათ.-დან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ფული,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. (წ. 1020

## კბილის ექიმი

**მამულაიშვილი-ხოდნევისა**

**წამლობა,** პლომბის გაკეთება ფაიფურით და ოქროთი. კბილის ამოღება უტკივილოდ. ოქროს ,,კორონკები'' და ,,ვსტავკები'' (ახალი სისტემის პლომბი, რომელიც არ იშლება და არ ვარდება). ბრუნდი კბილების გასწორება. მიღება დილით 8—2 საათამდე, საღამოთი 5—7 საათამდე. ოლღას ქუჩა № 20, ბინა—5. 1504


# ახალი ამბავი

## ტფილისი

✦ **მიწის ძვრა.** შაბათს, 29 სექტემბერს, ღამის 11 საათზე, ტფილისში მიწა იძრა. მიწის ძვრა იმდენად საგრძნობი იყო, რომ მცხოვრებნი სახლებიდან გარედ გამოცვივდნენ და ზარ-დაცემულებმა არ იცოდნენ, როგორ მოქცეულიყვნენ. მიწის ძვრამ 3 4 წ. გასტანა. ღამით მიწის ძვრა კიდევ ორჯელ გამეორდა.

✦ **სახალხო აუდიტორია ვერაზე.** კვირას, 30 სექტემბერს, ვერაზე, უდელნი ქუჩაზე საძირკველი ჩაჰყარეს სახალხო აუდიტორიისა, რომელსაც სახალხო გასართობთა საზოგადოება თავის ხარჯით აგებს. საძირკვლის ჩაყრას ხალხი ნაკლებ დაესწრო, რადგანაც ცუდი დარი იყო.

✦ 1 ოქტომბრიდან ტფილისში, პუშკინის ქუჩაზე, № 7, გაიხსნა მეხუთე საქალაქო **საფოსტო-სატელეგრაფო განყოფილება.**

✦ **მცხეთობა.** გუშინ, მცხეთობას, ტფილისიდან მრავალი ხალხი წავიდა მცხეთას. ხალხი იმდენად ბევრი იყო, რომ ტფილისსა და მცხეთას შუა რამდენიმე საგანგებო მატარებელი მუშაობდა.

✦ **ქალაქის ხარჯთ-აღრიცხვა.** 1913 წლის ხარჯთ-აღრიცხვა, როგორც ვწერდით, განსახილველად გადაცემული აქვს საფინანსო კომისიას, რომელიც განხილვას ამ დღეებში დაასრულებს. 10 ოქტომბერს ხარჯთ-აღრიცხვას განიხილავს საფინანსო და სარევიზიო კომისიის შეერთებული კრება.

✦ **ხორცის ნიხრი** ქალაქის სამეურნეო კომისიამ უცვლელად დასტოვა.

✦ **სეირნობის გადადება.** სახალხო გასართობთა ტფ. საზოგადოების სასარგებლოდ დანიშნული სეირნობა, რომელიც 29 და 30 სექტემბერს უნდა გამართულიყო „ფიქრის გორაზე“, ცუდის ამინდის გამო გადაიდო 5, 6 და 7 ოქტომბრისთვის.

✦ **სალიტერატურო-სამუსიკო საღამო.** ხუთშაბათს, 4 ოქტომბერს, სახალხო სახლში მხცოვან მგოსნის **აკაკის მონაწილეობით** საინტერესო სალიტერატურო-სამუსიკო საღამო გაიმართება. საღამო სამის განყოფილებისგან შესდგება.

✦ **წესდება სავაჭრო ბანკისა,** რომელიც ტფილისში არსდება, ნამესტნიკის კანცელარიამ დასამტკიცებლად ფინანსთა სამინისტროს გაუგზავნა.

✦ **საქალაქო სესხი.** როგორც გავიგეთ, ნამესტნიკის საბჭო მიმდინარე თვის უკანასკნელ რიცხვებში განიხილავს საკითხს, მიეცეს თუ არა ქუთაისის ქალაქის თვითმართველობას 46,000 მან. სესხის აღების ნება.

✦ **პოლიტეხნიკუმი ტფილისში.** ქალაქის გამგეობამ დაადგინა, ყოველივე ღონე იღონოს, რათა ტფ. პოლიტეხნიკუმის საძირკველი მომავალს გაზაფხულზე უეჭველად ჩაყრილ იქმნეს. ის ადგილი (ნავთლუღში), სადაც პოლიტეხნიკუმის შენობა უნდა აგონ, 29 სექტემბერს დაათვალიერეს სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა ნ. ფ. რუდოლფმა და ქალაქის მოურავმა ა. ი. ხატისოვმა, ქალაქის მიწის მზომლის თანხლებით, იმის გამოსარკვევად, როგორის გეგმით არის უმჯობესი და შესაძლებელი იქ შენობის აგება. საბოლოო გეგმა შედგენილ იქმნება იმ დრომდე, ვიდრე ტფილისში არ დაბრუნდება კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი, რომელიც გუშინ კიევსა, პეტერბურგსა და რიგას გაემგზავრა იქაურ პოლიტეხნიკუმების დასათვალიერებლად.

✦ **ტფ. გუბერნიის თავად-აზნაურთა მიერ გადადებულ თანხის განაწილება.** მარშლებმა და დეპუტატებმა ამ დღეებში ასე განაწილეს საზოგადო კრებისაგან გადადებული თანხა: ილია ჭავჭავაძის ძეგლისათვის გადასდეს—700 მან., ქართულ გიმნაზიის უფასო სასადილოსათვის—500 მან., საბალოსნო სკოლისათვის—600 მან., უმაღლეს საქალებო კურსებისათვის ტფილისში 400 მან., ახალციხის საქველმოქმედო საზოგადოების სკოლისათვის—300 მ., სახალხო სახლის ქართულ წარმოდგენების მმართველ წრისათვის--200 მან., ს. მუხრანში დაარსებულ ბავშვების თავშესაფარ „ბაგასათვის“—200 მან., „საზოგადოება სოიუზ - კაპეიკისათვის“—100 მან., ბავშვების მზრუნველ საზოგადოებას—100 მ., ჟურნალ „განათლებას“—100 მ., თარხნიშვილის ქალის მიერ დაარსებულ პროფესიონალურ სკოლას გორში—300 მან. და სხვ.

✦ **არჩევნების გარშემო.** რუსეთის 37 გუბერნიაში სულ ასარჩევი იყო 721 ამომრჩეველი. დღემდე ამორჩეულია 471 აომრჩეველი. პარტიულ შემადგენლობით ამომრჩეველნი ასე განაწილდებიან: მემარცხენე—16, კადეტი—38, პროგრესისტა—113, ოქტომბრელი—18, მემარჯვენე და ნაციონალისტი—227 და უპარტიო—49.

## საზოგადოებანი და კრებები

✦ **ქალაქის საბჭოს** მორიგი კრება დანიშნულია ხუთშაბათს, 4 ოქტომბერისთვის, რადგანაც ორშაბათს, 1 ოქტომბერს უქმე იყო. ამ დღეს, სხვათა შორის, საბჭო მოისმენს მოხსენებას საგანგებო კომისიისას, რომელსაც მინდობილი ჰქონდა წესიერ დასვენების ახალ დადგენილებათა განხილვა.

# ბალკანეთის ომი.

## დ ე პ ე შ ე ბ ი.

**სტამბოლი.** სამხედრო მთავრობამ აკრძალა გაზეთებში მცდარი ცნობების დაბეჭდვა; ბრძანების დამრღვევი უცხოელი კორესპონდენტები განიდევნებიან ოსმალეთიდან.

გაზ. „ტანინი“ დახურეს, რადგან იგი მთავრობას უსაყვედურებდა, დათმობის გზას რად დაადექიო. დაიხურა აგრეთვე „იკდამი“, ახალ კანონით განსაზღვრულ სათავდებო ფულის შეუტანლობის გამო.

**ბელგრადი.** რაშკიდან იუწყებიან, რომ ოსმალეთის ჯარმა შიშის ზარი დასცა კუჩიტრანისა და მიტროვიცის მიდამოების ქრისტიან მცხოვრებთ. მოხალისეთა რაზმებმა ბელგრადის ქუჩებზე დემონსტრაცია მოახდინეს და დარბეულ მოძმეთა დასახმარებლად ეშურებიან. სხვა და სხვა საზოგადოებისა და ბანკის შემწეობით გროვდება დიდძალი შემოწირულება უპატრონოდ დარჩენილ ოჯახთა დასახმარებლად. სამხედრო მატარებელთა მოძრაობის გამო სამგზავრონი შეაჩერეს. პოლკოვნიკ მარტინოვიჩის მაგიერ, რომელიც ავად გახდა, ბულგარეთის ლაშქრის დელეგატად დანიშნეს ვენაში სამხედრო ატაშეთ მყოფი ლეშანინი, ხოლო საბერძნეთის ჯარისათვის ყოფილი სამხედრო მინისტრი ზაპატა-მელოლეზ-ვასიჩი.

**სტამბოლი.** ამ ბოლო დროს პორტა ყოველ ღონისძიებას ხმარობს, რომ საბერძნეთი როგორმე გამოეთიშოს ბალკანეთის კავშირს, რის საზღაურადაც კრიტეს საკითხის სასურველად გადაწყვეტაზე უთითებს საბერძნეთს. ბულგარეთის ჩეტნიკებმა კოჩნასა და იშტიბს შუა ორი ხიდი ააფეთქეს.

**სოფია.** მთავრობა საღამოს გასცემს პასუხს დიდ სახელმწიფოებსა და ოსმალეთს.

**სტამბოლი.** მობილიზაციის გამოცხადების გამო სულთანმა მანიფესტი გამოსცა. იგი აღნიშნავს, რომ ოსმალეთი მუდამ მშვიდობიანობის მომხრეა და პატივისცემით ეპყრობა მეზობლებს. მხოლოდ ბულგარეთს, სერბიას, ჩერნოგორიასა და საბერძნეთს დაავიწყდათ ის გარემოება, რომ ოსმალები ძვირად დაუსვამენ მტერს იმ მუქარას, რომლითაც იგინი ჩვენს სიცოცხლეს საფრთხეში აგდებენ. ოტომანთა მოვალეობაა ღირსეულად დაიცვან სამშობლოს სახელი და ერთის დაკვრით მოსჭრან ჩვენი ქვეყნის ასაოხრებლად გამოწვდილი მტრის ხელი.

**ბელგრადი.** დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტთან ბაასის დროს, პაშიჩმა განაცხადა: მშვიდობიანობის დაცვის იმედი დღით-დღე ილევა. იმ დროს, როდესაც დიპლომატია ომის აცდენას ცდილობს, ოსმალეთი მას მიელტვის. ჩვენ იმ უსამართლობას ვჩიოდით, რომელსაც ძველ სერბიასა და მაკედონიაში სჩადიოდნენ, ოსმალეთი კი ხელახლად აგროვებს საზოგადოების ნაძირალთ და ქრისტიანებს უსევს მათ: რაშკაში დღეს ათასი ოჯახია ოსმალთა მხეცობისაგან გამოქცეული.

ოსმალებმა არ დაუცადეს სერბიის პასუხს და შესწყვიტეს დეპეშის გადაცემა. ავსტრია-რუსეთის წინადადებაზე ამ დღეებში გასცემენ პასუხს; იგი დაგვიანდა, რადგან მოკავშირეებს ჰსურთ ერთგვარ პასუხის შემუშავება რეფორმებისა და მათი განხორციელების გარანტიის შესახებ. სკუპჩინამ, მეორედ წაკითხვის დროს, ერთხმად მიიღო საგანგებო ხარჯი 30 მილიონი და სამი თვის მორატორიუმი. დაიხურება საგანგებო სესია და მოიწვევენ ჩვეულებრივს. სერბიის საზღვრებზე თავი მოიყარა გამოქცეულთა 2,000 ოჯახმა, მთავრობამ ბრძანება გასცა მათი დახმარებისათვის.

**პადგორიცა.** ჩერნოგორელებმა მცირე ზიანით დაიჭირეს ბელოპოლიე ძველ სერბიაში. ვუკოტიჩმა მაშინვე შემოიღო იქ ჩერნოგორიის დროებითი მართველობა. სერბთა ეკლესიაში დიდი ზეიმით გადაიხადეს სამადლობელი პარაკლისი. მეფემ დეპეშით მიულოცა ჯარსა და ვუკოტიჩს ბრწყინვალე გამარჯვება.

**სტამბოლი.** მინისტრთა საბჭო განაგრძობს სხდომას, კოლექტიურ ნოტის პასუხის შესამუშავებლად. გერმანიისა და ავსტრიის ელჩებმა სხდომის დროს ინახულეს გარეშე საქმეთა მინისტრი ნორადუნგიანი. გაზეთების ცნობით ოსმალეთს უშოვნია 16 მილ. გირვანქა სესხი.

## გაზეთებიდან.

### ჩერნოგორიის მდებარეობა.

ჩერნოგორიის აღმოსავლეთი ნაწილი, ანუ ბერდა, რომელიც ნოვობაზარის სანჯაყს საზღვრავს, 20—30 კილომეტრის სივრცეზე სხვა კუთხეებთან შედარებით უფრო მისავალია. შემდეგ კი იწყება მთაგრეხილები, კლდეები, ხევები და ცარცის გორაკები. ადგილობრივ მცხოვრებთ გარდა ამ ალაგებში გზას ვერვინ გაიკვლევს

— როდესაც ღმერთი ჰქმნიდა ქვეყანას—ამბობენ ჩერნოგორელები—მას ხელთ ეჭირა მთა-გორაკებით სავსე ტომარა. ტომარა სწორედ იმ ადგილას გასკდა, სადაც ახლა ჩერნოგორიაა და მას შემდეგ აღიმართნენ აქ მთები...

ყოველი გზა და ბილიკი, რომელიც ქვეყნის შუა გულისკენ მიდის, თითქმის გაუვალია. თვალუწვდენი ხრამები პიტალო ციცაბოებს ენაცვლებიან, რომელთა შორისაც წვრილ ტბებს თვლა არა აქვთ. ჩერნოგორიის თვით დედა-ქალაქი ცეტინიე ასეთსავე ადგილზე ძევს და რომ ამ ბოლო დროს გზატკეცილი არ გაეყვანათ, იგი ერთ ერთი ბუნებრივად მიუდგომელი ციხეთაგანი იქნებოდა. მეორე დიდი ქალაქი ჩერნოგორიისა—პოდგორიცა—მდინარე ზეტის ჭალაზე მდებარეობს. პოდგორიცას მისავალი სკუტარის ტბითა და ალბანეთის ყინულიანი მთებითაა დაცული... რომელ ლაშქარს შეუძლიან მისი აღება?..

რუსეთ-ოსმალეთის უკანასკნელ ომამდე, ჩერნოგორელებს გზები არ გაჰყავდათ.

— სადაც ურემი გაივლის—ამბობდნენ იგინი—იქ ზარბაზანიც გატარდებაო.

მაგრამ ხსენებულ ომს შემდეგ, ოსმალები საშიში აღარ არიან, პოლიტიკური თანასწორობა ბალკანეთისა ავსტრიის სასარგებლოდ მოეწყო, ამიტომ ჩერნოგორელები სცდილობენ, თუ ოსმალეთის ჯარს არა, ევროპის მოგზაურთ მაინც გაუადვილონ მიმოსვლა.

### დაცარიელებული ქალაქი.

ბელგრადი უდაბნოს წარმოადგენს, მაღაზიები დაკეტილია. სასტუმროებში და კერძო სახლებში ადამიანის ჭაჭანება არ არის—მხოლოდ ბავშვები და მოხუცნი თუ შემოხვდებათ, დაწესებულები დაკეტილია. სიცოცხლის ნიშანი ქალაქს არ ატყვია.

### ქართველთა და სომეხთა მოხალისენი.

„უტრო როსიი“ სწერს: მოხალისეთა დიდ რაზმს ადგენენ მოსკოვის უნივერსიტეტის კავკასიელი სტუდენტები—უმეტეს ნაწილად ქართველები და სომხები. რაზმში უკვე ჩაეწერა 60 კაცი, ელიან კიდევ ასს, მათ რიცხვში კავკასიიდან მოსულთაც. რაზმს სათავეში უდგას სამსახურის გარეშე მყოფი ქართველი აფიცერი ლ. მონაწილე რუს-იაპონიის ომისა; იგი ამ ბოლო დროს საერობო უფროსად იყო კალუგის გუბერნიაში. რაზმი „სლავიანთა კომიტეტს“ დაექვემდებარება და მისგანვე მიიღებს სამოქმედო გეგმას. ქართველთა და სომეხთა კოლონიამ რაზმს მატერიალური დახმარება აღუთქვა, თუ ომი მართლა დაიწყება. რაზმს განზრახვა აქვს ცხენოსანი ლაშქარიც მოაწყოს. რაზმში ჩაწერა სერბიის „პოლვორიე“-ში სწარმოებს.

# ტფილისის არჩევნები

## პირველი საარჩევნო უბანი

|1, 2, 11 და 12 საპოლიციო უბანი|

**არჩევნები მოხდება ქალაქის შრომის ბირჟის დარბაზში, ვერის მოედანზე.**

## აირჩიეთ:

1 ალექსანდრე ბესარიონის ძე მდივანი,
ქართულ გიმნაზიის დირექტორი, გუნიბის ქუჩა, № 10.

2. მიხეილ ალექსანდრეს ძე გედევანიშვილი,
ექიმი, ყორღანოვის ქუჩა, № 20.

## მეორე საარჩევნო უბანი,

|10, 9, 8 და 7 საპოლიციო უბანი|

**არჩევნები მოხდება ზუბალაშვილის სახალხო სახლში.**

## აირჩიეთ:

1. ვახტანგ სოლომონის ძე მუსხელიშვილი,
ექიმი, ველიკოკნიაჟსკაია ქუჩა, № 67.

2. ნიკოლოზ მიხეილის ძე მელიქიშვილი,
ექიმი, კერძო სამკურნალოს გამგე. ქსენიევის ქუჩა, № 7.

3. შალვა ანტონის ძე მიქელაძე,
ექიმი, კახეთის ქუჩა, № 1.

# ამომრჩეველნო!

ხვალ ტფილისმა ამომრჩევლები უნდა აირჩიოს. ხვალ უნდა დაამტკიცონ ამომრჩევლებმა, კარგადა აქვთ გათვალისწინებული დღევანდელი მომენტი თუ არა. ხვალ უნდა გადასწყვიტონ მათ, ვის უცხადებენ ნდობას, ვის ავალებენ მომავალ დეპუტატის არჩევანს. რანაირ თვალითაც უნდა ვუცქიროთ სათათბიროს მოღვაწეობას, იგი მაინც ჩვენი პროგრამის გამოსამჟღავნებელი საშუალებაა. საქართველოდან წასულმა დეპუტატმა უნდა დაიცვას ჩვენი ეროვნული საჭიროებანი, მან უნდა გამოჰხატოს ჩვენს გულში ჩანერგილი ეროვნული მისწრაფებანი, მან სათათბიროს ტრიბუნაზე უნდა გამოიტანოს ჩვენი იდეალები. საქართველოდან წასული დეპუტატი უნდა იყოს არა აღმსრულებელი პეტერბურგიდან მოსულ დირექტივებისა და ბრძანებებისა, იგი რუსეთის პარტიის ყურმოჭრილი მონა კი არ უნდა იყოს, არამედ თავისუფალი შვილი თავისი სამშობლოსი; იგი ჩვენი სისხლი და ხორცი უნდა იყოს, ჩვენი მწუხარება თავის მწუხარებად უნდა მიაჩნდეს და სიხარული — სიხარულად. საქართველოს ჯერ ასეთი დეპუტატი არა ჰყოლია. სამჯერ გაჰგზავნა საქართველომ სოციალ-დემოკრატები. მთელმა მათმა მოღვაწეობამ ჩვენს თვალ-წინ გაიარა. მერე რასა ვხედავდით? საქართველო მათ არა სწამთ. საქართველო და მისი ინტერესები ზვარაკად შესწირეს სრულიად რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ინტერესებს. ერთხელ ვერ გაჰბედეს და ვერ დაილაპარაკებს როგორც საქართველოს წარმომადგენლებმა. ვერც შემდეგ დაილაპარაკებენ, რადგანაც მათთვის საქართველო აღარ არსებობს. ისინი, როგორც ბიუროკრატები, იცნობენ მხოლოდ ადმინისტრატიულ ერთეულებს. საქართველო, მისი წარსული, მომავალი, მათთვის გაჰქრა. აღარ არის საქართველო. არის მარტო ტფილისის გუბერნია, ქუთაისის გუბერნია და სხვ.

ისინი ებრძვიან ყველაფერს, რასაც კი განსაკუთრებული ქართული ელფერი ადევს, უარჰყოფენ თანხმობას ქართულ დემოკრატიულ ჯგუფებთან მარტო იმიტომ, რომ ისინი ქართველები არიან და სომხების დახმარებით უნდათ ლელო გაიტანონ. მიაქციეთ ყურადღება და დაინახავთ, რანაირი იდუმალი კავშირია გაბმული სომხებსა და ჩვენებურ სოციალ-დემოკრატებს შორის. სომხები ყოველის ძალ-ღონით ეხმარებიან სოციალ-დემოკრატებს, რადგანაც მათთვის სახეიროა გამარჯვება ისეთი ჯგუფისა, რომელიც საქართველოს განსაკუთრებულ ინტერესებს უარჰყოფს.

სოციალ-დემოკრატებს სომხების დახმარებით კვლავ უნდათ საქართველო მკვდრად გამოაცხადონ და მისი ბედ-იღბალი თავიანთ ცენტრალურ კომიტეტის ექსპერიმენტების ობიექტად გადააქციოს.

ხვალ ამომრჩევლებმა უნდა დაუმტკიცონ ყველას, რომ საქართველო არ მომკვდარა. თავისი ხმით უნდა დაამტკიცონ, რომ საქართველოს აქვს უფლება თავის ეროვნულ საჭიროებათა დამცველი დეპუტატი გაჰგზავნოს სათათბიროში.

ხვალ არჩევნებია ტფილისში; იმედია თვითეული ამომრჩეველი შეიგნებს თავის მოვალეობას, მოვა არჩევნებზე მოქალაქობრივ მოვალეობის მოსახდელად და თავის ხმას მისცემს იმათ, ვინც ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნომერშია დასახელებული.

მოვალეობა თქვენგან ენერგიასა და ერთსულოვნებას მოითხოვს. მაშ, გამოიჩინეთ ეს ერთსულოვნება და აირჩიეთ ზევით დასახელებული კანდიდატები.

# არჩევნები ჩვენში

**ქუთაისი.**
(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

დამატებითი არჩევნების დროს თ. ვლადიმერ მიქელაძეს ძმამ ჩამოჰგლიჯა სუფრა იმ სტოლისა, რომელზედაც საარჩევნო ყუთები ეწყო. უმრავლესობამ კრებას თავი დაანება. თავმჯდომარემ დახურა კრება და ოქმი შეადგინა. არჩევნები შეჩერებულ იქმნა. ლეჩხუმის მაზრაში ამომრჩევლად აირჩიეს ვარლამ გელოვანი და ოთარ დადეშქელიანი.

**ზუგდიდი.**
(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

ზუგდიდში ხუთს ამომრჩეველთაგან ოთხი კიტა აბაშიძის მომხრეა.

**სიღნაღი.**
(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

მემამულეებმა ამომრჩევლად აირჩიეს კოტე ტყავაძე და ექიმი ნიკოლოზ ტურიაშვილი.

**გორი.**
(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

გორში მსხვილ მემამულეთა და რწმუნებულთა არჩევნებზე 178 კაციდან გამოცხადდა მხოლოდ 10. ამომრჩევლად აირჩიეს შემდეგი პირნი: 1) თ-დი ვეზირიშვილი გიორგი ნიკოლოზის ძე, 2) თ-დი ამირეჯიბი ალექსანდრე ალექსანდრეს ძე, 3) თ-დი როსებ ამირეჯიბი, 4) თ-დი ამილახვარი დავით ლუარსაბის ძე, 5) თ-დი ფალავანდიშვილი ვასილ დარ., 6) ყიფშიძე ალექსანდრე თევდორეს ძე და 7) გიორგი მაჭარაშვილი.

**ზესტაფონი.**

28 სექტემბერს მოხდა მემამულეთა ამომრჩეველთა კრება, რომელზედაც გამოცხადდა 71 მემამულე და რწმუნებული. ასარჩევი იყო ოთხი ამომრჩეველი. კ. აბაშიძის მომხრეებმა წამოაყენეს ოთხი კანდიდატი, მიქელაძისტებმა—ორი — კალისტრატე ჩიკვაიძე და პავლე ჩხეიძე. ამ უკანასკნელებმა თავის კანდიდატები მოჰხსნეს, რადგანაც ძალას ნაკლებად ჰგრძნობდნენ. ამრიგად ყუთი დაიდგა ოთხმა კანდიდატმა და ოთხივე აირჩიეს: ალექსანდრე (პეტია) ალ. წერეთელი, იოსებ ალ. გუნცაძე, ილია ზურ. აბაშიძე და ალექსანდრე ხახულის ძე აბაშიძე.

**ქუთაისის გუბერნია.**

ქუთაისის გუბერნიაში დღემდის არჩეულია 27 ამომრჩეველი. ამათგან 13 კიტა აბაშიძის მომხრეა, 11 გეგეჭკორისა, 5 გამოურკვეველი. იმ ცნობებით, რომელიც ხელთა გვაქვს, ამ ხუთიდან 3 უფრო კიტა აბაშიძეს მისცემს ხმას. ამგვარად, ჯერ-ჯერობით, ჩვენს ჯგუფსა ჰყავს უმრავლესობა.

**ტფილისის მაზრა.**

ტფილისის მაზრის ამომრჩევლებად თავად-აზნაურობამ აირჩია ალექსანდრე ხატისოვი (ტფილისის ქალაქის თავი), ყორღანოვი და ივ. სპ. ჯაბადარი.

# არჩევნები პროვინციაში.

3 ოქტომბერს გორმა, სიღნაღმა და თელავმა ამომრჩევლები უნდა აირჩიონ. ამ ქალაქებმა სამს ოქტომბერს უნდა გადასწყვიტონ, მომწიფებულნი არიან პოლიტიკურად, თუ ნდობას კვლავ ისეთს პირს გამოუცხადებენ, რომელსაც არაფერი საერთო არა აქვთ რა ჩვენს ქვეყანასთან. ბევრი დაწვრილმანებული ადამიანი წამოჰყოფს ხოლმე თავს ამისთანა დროს, ბევრი ინტრიგის ქსელი გაიბმება ხოლმე, მაგრამ ქართველი ამომრჩეველი მაინც შეცდომაში არ უნდა შევიდეს და ამომრჩევლად უნდა დაასახელოს ისეთი ადამიანი, რომელიც ეროვნულ ნიადაგზე იდგება და საქართველოს ეროვნულ ინტერესებს დაიცავს. გორში, მაგალითად, ჩვენმა იდეურმა მოწინააღმდეგებმა სომხის კანდიდატურა წამოაყენეს, ასევე მოიქცნენ სიღნაღშიაც. გორის გაზეთი „ქართლი“, რომელმაც ქვა და გუნდა მიაყარა სოციალ-დემომოკრატებს, ეხლა ურჩევს გორელებს, ისევ ძველ დეპუტატების მომხრენი აირჩიეთო. ამისთანა უპრინციპო გაზეთის რაღაც გაუგებარ მოტივებით გამოწვეულ გზაკვალ აბნეულ ლათაიებს გორის ამომრჩევლებმა არავითარი ყურადღება არ უნდა მიაქციონ და ყოველი ღონის-ძიება უნდა იხმარონ, აირჩიონ მეორე ჯგუფის მიერ დასახელებული კანდიდატი ბ-ნი ელიოზიშვილი. თვითოეულ ხმას დიდი მნიშვნელობა აქვს. გორი ქართლის დედა-ქალაქია. სირცხვილი გორელებს, თუ იმდენი ვერ მოახერხეს, რომ ამომრჩევლად ეროვნულ ინტერესების დამცველი ამომრჩეველი გამოგზავნონ!.. ასევე უნდა მოიქცნენ თელავსა და სიღნაღშიაც. ყველამ უნდა ისარგებლოს თავის უფლებით, ყველამ უნდა შეიგნოს, რანაირ საფრთხეს გვიმზადებს სინამდვილე, და არ უნდა დაჰკარგოს ხმის უფლება.

ისარგებლეთ თქვენის უფლებით, ერთის დღით დაივიწყეთ თქვენი პირადი საქმე, მიდით საარჩევნო ყუთთან და აირჩიეთ სასურველი კანდიდატები.

# უცხოეთი

**იარ-მაჰუმედ-ხანის მოკვლა.**

იარ-მაჰუმედ-ხანი თავის რაზმით მიუახლოვდა ქალაქ ქერმან შახუს და წინადადება მისცა დაჰნებებულიყო. საღამოთი მაჰუმედ-ხანი ქალაქში შეიჭრა. მთავრობის ჯარის და მის რაზმს შორის ბრძოლა გაჩაღდა ამ ბრძოლაში მოკლული იქმნა მაჰუმედ-ხანი. ბელადის სიკვდილმა მისი რაზმი დაქსაქსა.

მაჰუმედ-ხანი გამოჩენილი ქურთი იყო. ფრიად ღირს შესანიშნავი როლი ითამაშა მაჰუმედ ხანმა შაჰის ჯარის წინააღმდეგ ბრძოლაში. როცა თავრიზს გარშემოეხვივნენ, მაჰუმედ-ხანი ხან სად დაეცემოდა შაჰის ჯარს და ხან სად. მაჰუმედ-ხანი მოუსვენარი ბებრძოლი იყო, და სადაც კი სპარსეთის რევოლიუციონერებს იარაღით ბრძოლა დასჭირდებოდათ, მაჰუმედ-ხანი თავისი თავგანწირულებით იარაღით ხელში იქ გაჩნდებოდა ხოლმე. გულადი მებრძოლი ვერ იყო გამჭრიახი პოლიტიკოსი, და ამიტომაც, როცა რევოლიუცია უსარგებლო სისხლის ღვრად გადაიქცა, მამუმედ-ხანმა აღარ იცოდა ვისთვის და რისთვის ემსახურა. ეს მიზეზი იყო, რომ მაჰუმედ-ხანი სალარ-დოულეს წინააღმდეგ ბრძოლაში თავისივე თანამებრძოლის ტყვიით განიგმირა.

# თეატრი და ხელოვნება

ხუთშაბათს, 4 ოქტომბერს, ქართ. დრამ. საზოგ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება: ვასო აბაშიძისა და ვლ. ალექსი-მესხიშვილის მონაწილეობით **შეშლილია** პიესა 3 მოქ. თარგმ. ვ. აბაშიძისა. და **გაცრუებული იმედები** კომ. 2 მოქ. ნ, აზიანისა.

**რედაქტორ-გამომცემელი
ნ. კურდღელაშვილი.**

# განცხადებანი


## ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო

დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
**ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.**

**დილით:**

„606“ — 11—12 ს. **შეშხაპუნება კონსულტატიურად.**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.
**ბ. გ. აგასაროვი:** 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.
**კ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
**ზ. ი. ბაბანახოვი:** 10—11 ს. საბებიო ქალებისა და ბავშვებისა,
**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**მ. გ. პვეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
**გ. ი. გურგენოვი:** 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ა. პ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელ ქიანი** 1—2 ს. საბებიო დ. ქალების ავადმ.

**საღამოთი:**

**მ. გ. პვეტისიანცი:** 6—7 საათ.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთა ვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნლოს დირექტორი მედიცინის
1078 დოქტორი **ბ. ა. ნ ვასარდიანი.**

**ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო**

## მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20. წ. 1022

**დოქტორი მედიცინისა ბერლ. უნივერს.**

## გ. გ. მებრაბიანცი

შინაგ. ავადმყ., ავადმყოფობ. ფილტვ. — ტუბერკულ. და გულისა. წამლობს ტუბერკულინით, რადიისა და ელექტრონის პრეპარატებით. იღებს ყ.-დღ. **ახალ ბინაზე** დილ. 9—12 ს. და საღამ. 5—7 საათ. **ადრესი: სოლოლაკი,** ბებუთოვის ქ., № 23 (განოვის ქ. კუთხე). **ტელეფ. 7—92.** 1497

**ექიმი ზ. ა. მიქელაძე** იღებს **შინაგან და ბავშვათა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6¼ საათ. კახეთის ქ. № 6.

**ექიმი ალ. სოლოლაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—2 საათ. და 5—4 საათ. გოლოვინის პრ. № 12. 1334.

## ტფილისის კერძო სამკურნალო

**ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მთავრობის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო**
**ტელეფონი № 5-80.**
**სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.**

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

| | |
|---|---|
| შინაგანი ავადმყოფ. | **ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). 11½—12 საათ.<br>**დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.<br>**ქიქოძე ტ. ს.** (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10.<br>**მაღალაშვილი გ. გ.** (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12.<br>**მანსვეტაშვილი ვ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3.<br>**მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1.<br>**ფიდოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| ქირურგიული | **მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტანტი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 11½—12½.<br>**მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1.<br>**ფირადოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1. |
| საშობიარო ქალ. სნეულებანი | ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12.<br>**მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1.<br>**სულაკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1.<br>**თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2. |
| ბავშვების ავადმყოფ. | **ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), 12½—12 ს.<br>**მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1.<br>**ფიდოროვი ე. გ** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| ნერვ. სნეულებანი | **გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11.<br>**დავითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. |
| ყურ. ყელ. და ცხვ. | **ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2.<br>**თრემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 2½—3. |
| თვალის ავ. | **მუსხელიშვილი ვ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½. |
| კან. და ვენ. ავ. | **მზარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—1½. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათა შანგ. Wassermann. რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „606“ **წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. წ. 1010.

**გამოსულია და იყიდება**

## არჩილ ჯორჯაძის თხზულებანი:

I ტ. „ეროვნულ პრობლემის გარშემო“ ფასი „ „ „ 75 კ.
II „ „ჩვენი საზოგადოებრივობა „ „ „ „ „ 80 კ.
III „ „ნააზრევი“ „ „ „ „ „ „ „ „ 65 კ.
IV „ წერილები „ცნობის ფურც.“-„მოამბ.“ 1901—1902 წ. „ 85 კ.

## საბავშვო ბალი ა. გედევანიშვილისა

მოუწოდებს მშობლებს, ვისაც ჰსურს მიაბაროს ბავშვები, მობრძანდნენ კვირას, 30 ენკენისთვეს, შუადღის 12 საათზე, ყორღანოვის ქ., № 20, კომიტეტის და მასწავლებლის ასარჩევად და მიმდინარე საქმეების განსახილველად. 1532.

## ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში

**ისყიდება ახლად მიღებული წიგნები:**

სამშობლოს აღწერა ს. რობაქიძისა . . . . . . . . 50 კ.
ქართ. მოკლე გრამატიკა ნიკოლაიშვილისა . . . . . 20 „
ქართ. გრამატიკა პირველ-დაწყებითი ხუნდაძისა . . . 20 „
ისტორია ოსმალეთის ყოფილი საქართველოსი ზ. ჭიჭ. . 50 „
თამარ მეფე ს. კაკაბაძისა . 15 „
წმინდა ნინო მისივე . . . 15 „
Черты феодальнаго строя მისივე 20 „
სჯულმდებელი ბაგრატ კურაპალატი . . . . . . . 20 „
სჯულმდებელი ბექას და აღბუღას ვინაობა. მისივე . . 15 „
ვინაობა მესხური დავითნის ქრონიკების ავტორისა. მისივე 10 „
Разборъ армазской надписи по фотографическому снимку. 10 „
გ. ერისთავის რჩეული ნაწერები 60 „
ძუნწი. კომედია მისივე . . 5 „
ამხანაგი დრამა. პეპანოვისა . 25 „
მართალი ამბავი, გიგაურის ას-სა 5 „
მოულოდნელი შემთხვევა. ვოდ. 15 „
ქართული გალობა. ლიტურღია. პარტიტურა. ნოტებზე გადაღ. რაჟდ. ხუნდაძისა . . . . 60 „
ცისკარი. ღმერთი უფალი I ხმა ნოტებზე გადაღ. სულხანიშვილი . . . . . . . 35 „

**ადრესი:** Тифлисъ, О-во распр. Гр. ср. гр. насел. 1141.

პუშკინის ქუჩაზე, № 9,

## იძლევა ქირით ორი დიდი თვალი მაღაზია,

შეიძლება შუაზედაც გაიყოს **ორ დუქნად.**

მაღაზიის ზევით **მეორე სართულში**

**ქირით იძლევა** ახლად შეკეთებული **ხუთი ოთახი,**

კუხნით, წყლით და ყოველივე მოწყობილობით.
პირობების შეტყობა მსურველთ შეუძლიანთ იქვე,
**ძმ. ძეგველოვების თევზის მაღაზიაში.**

## ე. ა. ცატუროვის დეპოში

მაუდეული (vertical)

მიღებულია დიდძალი ნაირ-ნაირი შპალიერი, ახალ სახიანი **რუსეთისა და საზღვარგარეთის საუკეთესო ქარხნებისა.**

**ფასები** 8 კ—დან თოფი (სრულ ზომიანი) აუარებელ ხარისხისა.

ნიმუშებს ვგზავნით პირველ მოთხოვნილებისათანავე.
**ტფილისი, სასახლის ქუჩა, ტელეფონი № 238.**
1400


ტფილისი, მუხრანის ქუჩა, № 12 სტამბა „შრომა“.